საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3967
25/05/2023

3967-21-2-202305251509

შპს „რეციკლინგს“
მის: ქ. თბილისის, მოსკოვის გამზ., N24ა
ელ.ფოსტა: hakan@bars.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2023 წლის 6 მარტს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი N1749 განცხადება, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, ჯავახიშვილის ქ. N7-ში სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა და აღდგენის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური ციკლი მოიცავს როგორც სახიფათო ნარჩენების აღდგენას და დამუშავებას, ასევე ხის ნახშირის წარმოებას და მეორადი საბურავების გადამუშავებას, ხოლო გაბნევის ანგარიშში ხის ნახშირის და საბურავების გადამუშავების წყაროები გათვალისწინებულია როგორც **ფონური მნიშვნელობები**. აღნიშნული საკითხი საჭიროებს შესწორებას;
- გზშ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ გადამუშავებული ზეთების მზა პროდუქციის შეგროვება ხორციელდება **2 ერთეულ** 1 m^3 მოცულობის რეზერვუარებში, ხოლო გაბნევის ანგარიშში აღნიშნული ასახულია როგორც **1 ერთეული** გაფრქვევის წყარო. აღნიშნული საკითხი საჭიროებს შესწორებას;
- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის 6.2 თავში მოყვანილი **გ-1** გაფრქვევის წყაროს, ალუმინის სადნობი ღუმელის მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მაჩვენებლები **დაანგარიშებულია არასწორად.** შესაბამისად, მონაცემები საჭიროებს დაზუსტებას და შესწორებას;
- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში (ზდგ) წარმოდგენილი მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების პარამეტრები, **კერძოდ:** არაორგანიზებული და ორგანიზებული მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების **X; -Y; კოორდინატები**, გაფრქვევის წყაროების **დიამეტრი** და **აირჰაერნარევი ნაკადის მოცულობითი და სწორხაზოვანი სიჩქარეები** მითითებულია არასწორად და საჭიროებს შესწორებას. აღნიშნული არასწორი მონაცემები ასევე ასახულია გამოყენებულ ავტომატიზებულ კომპიუტერულ პროგრამა „ეკოლოგი 3.0“-ში, რაც პროპორციულად ახდენს

გავლენას სპეციალურად შერჩეულ წერტილებში ზდკ-ს მაჩვენებლებზე და ცვლის მათ მნიშვნელობებს;

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია საჭიროებს შესაბამისობაში მოყვანას ზდგ-ის ნორმების პროექტში მითითებულ მონაცემებთან, ასევე საჭიროებს დაზუსტებას საქართველოს მთავრობის **413 დადგენილების** შესაბამისად უწყვეტი მონიტორინგის საკითხები;
- 2023 წლის 26 აპრილს გამართულ საჯარო განხილვაზე კონსულტანტის მიერ აღინიშნა, რომ საწარმო „არანაირ იმპორტზე არ არის დამოკიდებული“, თუმცა, გზშ-ის ანგარიშის თანახმად, „საწარმო გეგმავს შეიძინოს და შემოიტანოს ჯართი როგორც ადგილობრივი ბაზრიდან, ასევე უცხოეთის ქვეყნებიდან, იმპორტის რეჟიმით“. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს ნედლეულით მომარაგების საკითხები;
- საჯარო განხილვის მსვლელობისას დამსწრე საზოგადოების მხრიდან გამოთქმულ იქნა შენიშვნა ზეთის ფილტრების რეცხვის შედეგად წარმოქმნილი საწარმოო წყლების მართვის შესახებ. აგრეთვე, საჯარო განხილვაზე დაფიქსირდა შენიშვნა ალუმინის სადნობ ღუმელზე ფილტრის მოწყობის საჭიროებასთან დაკავშირებით. წარმოდგენილ შენიშვნებთან მიმართებით კონსულტანტმა აღნიშნა, რომ დამატებით მოხდებოდა ზეთების რეცხვის შედეგად წარმოქმნილი წყლის მართვისა და სადნობი ღუმლის ფილტრის საკითხის განხილვა. შესაბამისად, სააგენტოში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ალუმინის სადნობი ღუმელის ფილტრით აღჭურვისა და საწარმოო ჩამდინარე წყლების გაწმენდის საკითხებთან დაკავშირებით;
- გზშ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ ობიექტზე გათვალისწინებულია ხის ნარჩენების გადამუშავება და პალეტების მიღება, რომელიც განთავსდება შესაბამის კონტეინერში და გადაიტანება დროებითი შენახვის სათავსოში, შემდგომში მისი რეალიზაციისათვის. ამასთან, დოკუმენტის თანახმად, ობიექტზე ასევე დაგეგმილია ხის ნახშირის წარმოება, რისთვისაც გამოყენებული იქნება დაბრიკეტებული ნახერხი და ბურბუშელა (პალეტები) ან ხის ნარჩენები ან ტექნოლოგიური შეშა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს იგეგმება თუ არა ხის ნარჩენების გადამუშავების ხაზზე წარმოებული პროდუქციის ნახშირის წარმოების ხაზზე გამოყენება.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ყველა ზემოაღნიშნული საკითხის/შენიშვნის შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტაციის 2 თვის ვადაში წარმოდგენა. აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო